

ედგარ ალან პოს “სიჩუმე”¹ და მისი ქართული ვერსიის
ლინგვისტურ-სტილისტიკური ანალიზი

**Linguistic-stylistic analysis of Edgar Allan Poe's “Silence - A Fable”
and its Georgian translation version**

ანი ჭიღვარია / Ani Tchigvaria

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / Tbilisi State University

ინა ტყეშელაშვილი / Ina Tkeshelashvili

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / Tbilisi State University

Abstract

This article is about the linguistic-stylistic nuances of Edgar Allan Poe's poem "Silence" and its Georgian translation by Erekle Tatishvili. Through a detailed comparative analysis, the research explores the unique stylistic strategies employed in the translation process. The study focuses on how the Georgian translation captures Poe's distinct use of language, imagery, and thematic elements, examining the translator's choices in terms of lexical selection, syntactic arrangement, and phonological and stylistic devices. The analysis uncovers how these elements are adapted to fit the Georgian linguistic context while striving to retain the original poem's stylistic and emotional impact. The findings provide valuable insights into the translator's approach to maintaining the delicate balance between closely following Poe's text and the expressive needs of the Georgian language. In the article, the authors gave detailed examples of what form the translator preserved the artistic techniques that Edgar Allan Poe perfectly conveyed in the original text.

საკვანძო სიტყვები: ედგარ ალან პო, სიჩუმე, ერეკლე ტატიშვილი, ანალიზი
Keywords: Edgar Allan Poe, Silence, Erekle Tatishvili, Analysis

¹ თუმცა, პოს ამ ნაწარმოების სათაურია “Silence – A Fable“, ტატიშვილის თარგმანში იგი წარმოდგენილია როგორც „სიჩუმე“. მოთხრობა და თარგმანი ციტირებულია ვებგვერდიდან: https://modusgio.blogspot.com/2007/01/blog-post_5679.html

შესავალი

მთარგმნელისათვის ურთულეს პროცესს სწორედ ორიგინალისა და სამიზნე ენათა შორის არსებული ენობრივ შესატყვისობათა დადგენა წარმოადგენს, რადგან ფორმით, მნიშვნელობითა და კონტექსტური გამოყენებით სრულად ეკვივალენტური ლექსიკური ერთეულები არათუ ორ სხვადასხვა ენაში, არამედ ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტებშიც ძნელად თუ მოიპოვება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი იშვიათად ინარჩუნებს ორიგინალი ტექსტის ყველა თვისებას, რადგან მასში ხშირად რაღაც ნაცვლდება, იკარგება ან ემატება.

ჩვენი კვლევის მიზანია, დავადგინოთ, რამდენად შეესაბამება ედგარ ალან პოს „სიჩუმის“ ავტორისეული ვერსია და მისი თარგმანი ერთმანეთს. შევისწავლოთ, თუ როგორ გარდაიქმნება მოცემული ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნისას, რამდენად ეკვივალენტურია ორი ტექსტი.

ედგარ ალან პო

ედგარ ალან პო ერთ-ერთი გამორჩეული ამერიკელი ნოველისტია. სწორედ ის უყრის საფუძველს კრიმინალისტურ ჟანრს. პომ ლიტერატურული კრიტიკითაც გაითქვა სახელი. ცნობილია, ასევე, რომ იგი არ წყალობდა ალფეგორიასა და დიდაქტიზმს, თუმცა აღიარებდა, რომ მათ მნიშვნელოვან ფუნქციას ლიტერატურაში. ამის შესახებ წერს ონლაინ ენციკლოპედია „ბრიტანიკა“. ედგარ ალან პო უპირატესობას ანიჭებდა იმას, თუ რამდენად აზრიანია ნაწარმოები, თუმცა, ამასთანავე, ყურადღებას აქცევდა ტექსტის ტკბილხმოვანებას. საინტერესოა, როგორია იმ ნოველისტის წერის სტილი, რომელმაც საკუთარი ჟანრი და ლიტერატურული კრიტიკის სტილი შექმნა და არ სწყალობს ჩამოთვლილ მხატვრულ საშუალებებს, თუმცა არც უარყოფს მათ აუცილებლობას.

სტატიაში განხილული ტექსტის მთარგმნელია ერეკლე ტატიშვილი, გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, დასავლური ენებისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი პიონერი საქართველოში, ქართული კულტურის მოღვაწე, ერუდიტი და პოლიტოლოგი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1985, გვ. 665)

განსაკუთრებით გვინტერესებს, თუ როგორ ახერხებს მთარგმნელი თითოეული სიტყვისათვის ეკვივალენტის მოძიებას და რა ცვლილებები დასტურდება ქართულ თარგმანში.

მეთოდოლოგია

ედგარ ალან პოს „სიჩუმისა“ და მისი ქართული თარგმანის შედარების დროს დავეყრდენით შედარება -შეპირისპირების მეთოდს და რაისის (2014) ეკვივალენტობის თეორიას, რომელიც გამოყოფს სრულ და ნაწილობრივ ეკვივალენტებს.

ედგარ ალან პოს „სიჩუმე“

ედგარ ალან პოს „სიჩუმე“ არის ფილოსოფიური ხასიათისა და იწყება ბუნების ორმაგ ხასიათზე საუბრით. ავტორი მკითხველს ე.წ. მედლის ორ მხარეზე აფიქრებს. წარმოადგენს მართოდ დარჩენილ ადამიანს და მის ახლომდებარე დემონს. ამ ადამიანისთვის მართობა მშვიდობისა და სიმშვიდის ადგილი იყო. იქამდე, სანამ დემონმა კაცთა ბუნება არ შეიცნო და ირგვლივ ყველაფერი არ გააჩუმა. სწორედ სიჩუმემ შეიპყრო შიშით ადამიანი.

გლენ რასელი, რომელიც არის პლატფორმა goodreads-ის აქტიური მიმოძიებელი, გვანვდის საინტერესო ანალიზს. რასელის თქმით, ნაწარმოები იკვლევს სიჩუმის ორმაგობასა და სირთულეს, ასახავს მას როგორც მშვიდ და შემზარავ ძალას. რასელი ხაზს უსვამს, თუ როგორ ქმნის პოს ენა და გამოსახულება ატმოსფეროს, რომელიც ირხევა სიმშვიდესა და საშინელებას შორის, ხაზს უსვამს ადამიანის გამოცდილებაში დუმილის მრავალმხრივ ბუნებას. ეს იწვევს მკითხველს, დაფიქრდეს დუმილის უფრო ღრმა შედეგებზე საკუთარ ცხოვრებასა და მათ გარშემო არსებულ სამყაროში.

ედგარ ალან პო სტილისტიკურ კომპონენტებს აქტიურად იყენებს, როგორც სიმშვიდის, ასევე შიშის გამონვევის მიზნით. პოს სტილის ძირითადი ელემენტები ამ ნაწარმოებში მოიცავს:

1. ხედვა, გამოსახულება: პო იყენებს კონტრასტულ სურათებს, რათა ხაზი გაუსვას სიჩუმის ორმაგ ბუნებას, როგორცაა „ზღვა და ნაპირი“ და „სხეული და სული“. ეს სურათები ქმნის წინააღმდეგობის განცდას.

2. გაპიროვნება : დუმილი სულიერის თვისებებს იძენს, როგორც დემონი, რაც ლექსს შემზარავ განზომილებას მატებს. ეს ყოველივე ხაზს უსვამს დუმილის მავნებლობას.
3. ფილოსოფიური ხედვა- ტექსტი იკვლევს არსებობისა და ყოფიერების ბუნებას, რაც ახასიათებს, ზოგადად, ავტორს.
4. სიმბოლოები: სიჩუმე ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოა, რომელიც, ერთი მხრივ, სიმშვიდეს, მეორე მხრივ კი - შიშს გამოხატავს. სწორედ ამ კონცეფციაზე დგას მთელი ნაშრომი. მთავარი ფიგურა არის თავად სიჩუმის პერსონიფიკირებული არსება, რომელიც დემონად არის წარმოსახული. ეს პერსონაჟი განასახიერებს პარადოქსულ ბუნებას, რომელიც წარმოადგენს სიმშვიდესაც და ეგზისტენციალურ შიშსაც.
5. განწყობა, უღერადობა, ტონი - ავტორის ენა ქმნის ცვალებად განწყობას მკითხველში. ეს ფაქტიც მთავარ საკითხს, სიჩუმის ორ მნიშვნელობას უსვამს ხაზს, სიმშვიდესა და ღრმა შიშს. ავტორის ტონი და განწყობა, მკითხველზე პირდაპირ ზემოქმედებს.
6. გულდასმით შერჩეული ლექსიკა- ლექსიკის შერჩევით იქმნება ბნელი, ატმოსფერო და მელანქოლიური ტონი.

ამ სტილისტური არჩევანის საშუალებით პოეტიკურად გადმოსცემს დუმილის მრავალმხრივ ბუნებას, წინ წამოსწევს მის მნიშვნელობას და მკითხველს უსვამს ღრმა ფილოსოფიურ კითხვას - რა არის სიჩუმე- შიში თუ სიმშვიდე?

ტექსტის ქართული თარგმანი ეკუთვნის ერეკლე ტატიშვილს, არის მეცნიერი, ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელმაც თარგმნა „სიჩუმე“ ქართულ ენაზე. ჩვენთვის უცნობია ის, თუ რომელ წელს თარგმნა, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ის ფილოსოფიური სტილის ნაწარმოებებს აქტიურად თარგმნიდა, არა მარტო ინგლისური ენიდან ქართულზე, არამედ გერმანული ენიდან ქართულ ენაზე.

• გრამატიკული სიზუსტე

მიუხედავად ამისა, რომ ქართული და ინგლისური ენები განსხვავდებიან სინტაქსური წყობითა და გრამატიკული სტრუქტურებით, შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა ქართულ გრამატიკას ქართულ სიტყვათა წყობას წარმატებით მოარგო ნაწარმოები. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი წინადადება ტექსტიდან:

ავტორისეული ვერსია:

" The region of which I speak is a dreary region in Libya by the borders of the river Zaire. And there's no quiet there, nor silence. "

- **ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანი:**

„ქვეყანა, რომლის ამბავსაც მე მოგიტობრობ მდინარე ზაირის ნაპირს მდებარე ლიბიის მწერი ქვეყანაა და იქ არც მყუდროებაა და არც სიჩუმე.“

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ინგლისური სტრუქტურების საპირწონედ, მთარგმნელმა წარმატებულად გამოიყენა ქართული სინტაქსური მახასიათებლები. აქვე, ასევე აღსანიშნავია, რომ ინგლისური region, ქართულში გადმოტანილია როგორც „ქვეყანა“, რაც ასევე მკაფიო მაგალითია იმისა, რომ თარგმნის დროს შესაძლებელია სიტყვათა ცვალებადობას ჰქონდეს ადგილი, თუ მთარგმნელის კონცეპციას ეს ეხმარება. ჩვენც ვეთანხმებით, რომ სიტყვა „ქვეყანა“ უკეთ გამოხატავს ლექსში ჩადებულ აზრს, ვიდრე „რეგიონი“.

- **სტილისტიკური მხატვრული ხერხების გადმოტანა თარგმანში**

ტექსტი მდიდარია სტილისტიკური ხერხებით, რომლებიც ავტორს ეხმარებიან სათქმელის ხატოვნად გადმოცემაში. ზოგადად, შეიძლება ითქვას, მთარგმნელი იცავს ორიგინალის ტექსტის მხატვრულობას და მაქსიმალურად ინარჩუნებს მხატვრულ ხერხებს ტექსტის თარგმნისას. მთარგმნელი, ზოგ შემთხვევაში, არჩევს სრულ ეკვივალენტურ ერთეულებს, ზოგ შემთხვევაში კი, თარგმანი ეყრდნობა ნაწილობრივ ეკვივალენტობას. განვიხილოთ რამდენიმე ასეთი მაგალითი:

- **გაპიროვნება**

ედგარ ალან პო შესანიშნავად გვიხატავს ბუნებას გაპიროვნების საშუალებით.

მაგალითად:

1. *“and a frightful tempest gathered in the heaven where, before, there had been no wind.”*

„და ზეცაში, სადაც წინედ ქარს არ უქროლია, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა“

ამ შემთხვევაში სულიერის თვისებები გადავიდა ქარიშხალზე. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ frightful მთარგმნელს შეეძლო გადმოეტანა, როგორც *შემაშინებელი*, თუმცა თარგმნა, როგორც *საშინელი*. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წინადადება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ განსხვავდება ქართული და ინგლისური ენის სინტაქსური თავისებურებები. შინაარსობრივად ეს მხატვრული ხერხი ხაზს უსვამს იმ სიტუაციას, რაც დემონის ქმედების შემდეგ განვითარდა.

2. „*And there is an indistinct murmur which cometh out from among them like the rushing of subterrene water. And they sigh one unto the other.*“

„და აქ მათ შორის გაისმის იღუმალის, თითქოს ქვესკნელის წყლის მხუილის ჩურჩული და ისინი შესჩივიან ერთმანეთს.“

გაპიროვნების ამ შემთხვევაში ქვესკნელის სულიერის თვისებები წყალზე გავრცელდა. თუმცა ქართული ვარიანტი ზუსტად არ იმეორებს ინგლისურ ვერსიას, მთარგმნელმა წარმატებით გადმოიტანა ორიგინალის ემოცია. ქართულ თარგმანში არ ჩანს ლექსიკური ერთეულის „ჩურჩული“ დამაზუსტებელი განსაზღვრება „*indistinct*“. თუმცა, მთარგმნელმა საჭიროდ ჩათვალა იგი უფრო პოეტური ერთეულით ჩაენაცვლებინა და ვიღებთ „იღუმალ ჩურჩულს“. საინტერესოა, ასევე, შედარების გადმოტანის თავისებურებაც ქართულ თარგმანში. იღუმალის ჩურჩული შედარებულია ქვესკნელის წყლის მხუილთან, ზუსტად არის დაცული ხმამობაძვითი ერთეული, თუმცა მთარგმნელმა საჭიროდ არ მიიჩნია არქაული სიტყვის (*cometh*) გადმოტანა. ასევე, *sigh one unto the other* თარგმნილია, როგორც „შესჩივიან ერთმანეთს“. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მდინარის აღწერისას იყენებს ავტორი ამ წინადადებას, რითაც უფრო მკაფიო შთაბეჭდილებას გვიქმნის მდინარეზე.

3. „*And the tall primeval trees rock eternally hither and thither with a crashing and mighty sound. And from their high summits, one by one, drop everlasting dews. And at the roots strange poisonous flowers lie writhing in perturbed slumber.*“

„და მაღალი მოხუცი ხეები მძლავრი ხმაურობით მოუსვენრად ირწევიან და მათი მაღალი წვეროებიდან თითო თითოდ ძირს სცვივა უკვდავი ნამი.“

გაპიროვნების ამ შემთხვევაში სულიერის თვისებებს იძენენ ხეები. ისინი სულიერივით მოძრაობენ და ირწევიან. თარგმანი, ძირითადად, მიჰყვება ორიგინალს და მის იღუმალ და სევდიან განწყობას გადმოსცემს. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა სიტყვა *primeval*, რომელიც, მერიემ ვებსტერის ლექსიკონში განიმარტება, როგორც *anceint or relating to the earliest ages (as of the world or human history,*<https://www.merriam-webster.com/dictionary/primeval>). ქართულში ეს ერთეული ჩანაცვლებულია სიტყვით „მოხუცი“, რომელიც, ხეებთან კავშირში, სემანტიკურად მსგავს ასოციაციებს გადმოსცემს. თარგმანში შეცვლილია, ასევე, ხეების მოძრაობის ხასიათიც, თუმცა ჩანს შესიტყვება *mighty sound*- *მძლავრი ხმაურობით*. ამ შემთხვევაშიც, თარგმანი ზუსტად

გადმოცემს ემოციას. შინაარსობრივად ეს წინადადება ბუნების აღწერისას გამოიყენა მწერალმა, რაც ასევე ამძაფრებს მის აღქმას.

4. **“And the rock was gray, and ghastly, and tall.”**

„და კლდე იყო მყიფე, საშინელი და მაღალი. კლდე იყო მყიფე.“

ამ მაგალითში საინტერესოა ფერის (gray-რუხი, ნაცრისფერი) გადმოტანა, როგორც *მყიფე*, რაც მთარგმნელის ხელოვნებაზე მეტყველებს. თუ ზოგან იკარგება ორიგინალური ტექსტის მხატვრულობა, ამ შემთხვევაში, თარგმანი ისევე მხატვრულად უღერს, როგორც ორიგინალის წინადადება.

5. **“and the lilies sighed one unto the other in the solemnity of their desolation.”**

„წყლის შროშანნი ერთმანეთს შესჩიოდნენ თავიანთ დიადს მარტოობაში.“

მთარგმნელი აზუსტებს მცენარის სახეობას, და ასევე, აქაც, *sighed one unto the other* გადმოტანილია, როგორც ჩივილი. შინაარსობრივად, რადგანაც მარტოობაზეა მთელი ნაწარმოები. ამ წინადადებით ავტორი კი ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანი იმდენად მარტოსული იყო, რომ ამას ბუნებაც კი განიცდიდა.

• **ეპითეტი:**

1. **“the moon arose through the thin ghastly mist, and was crimson in color.”**

„გამოჩნდა მთვარე, და იგი იყო ალისფერი“

ალისფერი- ამ შემთხვევაში არის ეპითეტი, რომელიც ახასიათებს მთვარეს, რაც ამძაფრებს მთვარის აღქმას.

2. **„And the rock was gray, and ghastly, and tall..“**

„და კლდე იყო მყიფე, საშინელი და მაღალი_კლდე იყო მყიფე.“

ეპითეტების თარგმნისას, მთარგმნელი სიზუსტეს ინარჩუნებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფერის გადმოტანისას კვლავ იყენებს ლექსიკურ ერთეულს „მყიფე“, რომელიც აქ კლდის დასახასიათებლად არის გამოყენებული.

3. **“And his brow was lofty with thought, and his eye wild with care;“**

„და მისი შუბლი იყო დიდებული აზრით, და მისი თვალები შმაგი მწუხარებით,“

„დიდებული“ არის ეპითეტი, რომელიც შუბლის დასახასიათებლად არის გამოყენებული, ხოლო შმაგი- თვალების დასახასიათებლად. ამ შემთხვევაში,

საინტერესოა, ერთეულის “wild” გადმოტანა საკმაოდ მაღალი მუხტის მქონე ქართული სიტყვით „შმაგი“. უდავოა, ეს თარგმანს ღირსებას ჰმატებს და უზუსტესად გადმოსცემს განწყობას.

- **ჰიპერბოლა:**

ტექსტი მდიდარია ჰიპერბოლის შემთხვევებითაც. მაგალითად, ერთეულში:

1. *“and a frightful tempest gathered in the heaven where, before, there had been no wind. And the heaven became livid with the violence of the tempest -- and the rain beat upon the head of the man -- and the floods of the river came down -- and the river was tormented into foam -- and the water-lilies shrieked within their beds -- and the forest crumbled before the wind -- and the thunder rolled -- and the lightning fell -- and the rock rocked to its foundation.”*

„და ზეცაში, სადაც წინედ ქარს არ უქროლია, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ცა განითლდა ქარიშხლის ბრაზით_და წვიმა სცემდა ადამიანის თავს_და მდინარე აზვირთდა_და მდინარე სულს დაფავდა ქაფში_და წყლის შროშანთ შეჰკივლეს თავიანთ სარეცელზე_და ქარი ამსხვრევდა ტყეს_და ელვა სრიალებდა_და მეხი ჩამოვარდა_და კლდე შეინძრა საფუძვლითურთ.“

ცის განითლება, ქარიშხლის ბრაზი, წვიმის ადამიანის თავის სცემა, მდინარის აზვირთვა, მდინარის სულის ლაფვა ქაფში, წყლის შროშანის შეჰკივლება, ქარის ტყის დამსხვრევა, ელვის სრიალი, მეხის ჩამოვარდნა, კლდის შენძრევა- ყველაფერი ჰიპერბოლური ფორმით არის გადმოტანილი, რაც მიჰყვება ორიგინალის სულს.

2. *“And the moon ceased to totter up its pathway to heaven -- and the thunder died away -- and the lightning did not flash -- and the clouds hung motionless -- and the waters sunk to their level and remained -- and the trees ceased to rock -- and the water-lilies sighed no more -- and the murmur was heard no longer from among them, nor any shadow of sound throughout the vast illimitable desert.”*

„და მთვარემ შესწყვიტა სრბოლა ცის ბილიკზე_და ელვა აღარ ელვარებდა_და ღრუბლები უძრავად დაეკიდნენ_და მდინარე დადგა თავის დონეზე და შეჩერდა_და ხეები აღარ ჰქანაობდნენ_და წყლის შროშანნი აღარ ირხეოდნენ და მათ შორის ჩურჩული აღარ გაისმოდა, აღარც აჩრდილი ხმაურობისა უზღვარს უდაბნოში.“

ამ მაგალითშიც, სამყაროს გაჩერების სურათი ჰიპერბოლაზეა დაფუძნებული, თუმცა აღსანიშნავია მეტაფორული გაპიროვნების ნიმუშებიც (*the trees ceased to rock -- and the water-lilies sighed no more* (ხეები აღარ ჰქანაობდნენ_და წყლის პროშანნი აღარ ირხეოდნენ და მათ შორის ჩურჩული აღარ გაისმოდა).

დასკვნა:

ედგარ ალან პოს ორიგინალური „სიჩუმე“ და მისი ქართული თარგმანის შესწავლამ და შედარებამ გამოავლინა საინტერესო მომენტები სტილისტიკისა და თარგმანის ეკვივალენტურობის თვალსაზრისით. მთარგმნელი ოსტატურად ახდენს ქართული ენის რესურსის აქტუალიზაციას და თარგმანის დროს ორიგინალის სტილისტიკური ხერხები გადმოაქვს, როგორც სრული ეკვივალენტები (მაგალითად, ეპითეტის შემთხვევაში), ან ნაწილობრივი ეკვივალენტები. ასევე საინტერესოა, რომ თარგმანის დროს მთარგმნელი ზუსტად ასახავს ნაწარმოების განწყობასა და მსოფლმხედველობას, რაც მის ოსტატობაზე მეტყველებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1985)
2. Biography.com editors (2023) *Edgar Allan Poe*
<https://www.biography.com/authors-writers/edgar-allan-poe>
3. Encyclopedia Britannica. (2024). *Edgar Allan Poe*
<https://www.britannica.com/biography/Edgar-Allan-Poe>
4. Merriam-Webster Dictionary
<https://www.merriam-webster.com/dictionary/primeval>
5. Modusgio.(2007,January). *Silence*. Modusgio Blog.
https://modusgio.blogspot.com/2007/01/blog-post_5679.html
6. Reiss, K. (2014). *Translation Criticism – The Potentials & Limitations. Translation Criticism- Potentials and Limitations; Categories and Criteria for Translation Quality Assessment*, London: Routledge
7. Russell. G (2014) *Glenn Russell's Reviews > Silence: A Fable*. goodreads
<https://www.goodreads.com/review/show/932555422>

ავტორების შესახებ:

ანი ჭიღვარია

ანი ჭიღვარია არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი. ის ფლობს სახელმწიფო სტიპენდიას და აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა პროექტში, როგორც მოხალისე მთარგმნელი. გატაცებულია უცხო ენების შესწავლით და ამჟამად, ინგლისური ენის გარდა, სწავლობს უნგრულ, გერმანულ, იტალიურ და ლათინურ ენებს.

ინა ტყეშელაშვილი

ინა ტყეშელაშვილი მეორე კურსის სტუდენტია და სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე. ინა ფლობს სახელმწიფო სტიპენდიას და 2024 წლის ზაფხულში ERASMUS+ ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მცირე დროით სასწავლო პროგრამით გაემგზავრება პოლონეთში.

ავტორებს აერთიანებთ ინტერესი ინგლისური ენისა და მისი სტრუქტურისადმი. სწორედ ეს გახდა მათი თანამშრომლობის მიზეზი.

About the authors:

Ani Tchigvaria

Ani is a second-year student studying English philology at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Being a state scholarship holder, Ani Chigvaria is a volunteer translator and has participated in many projects in this regard. She is a passionate learner of foreign languages and is currently studying Hungarian, German, Italian and Latin languages in addition to English.

Ina Tkeshelashvili

Ina is a second-year student studying English philology at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Ina has a state scholarship and in the summer of 2024, she is going to Poland as the ERASMUS+ exchange program student.

The authors share an interest in the English language and its structure. This was the reason for their collaboration.

E-mail: ani.tchigvaria921@hum.tsu.edu.ge

Inatkeshelashvili7@gmail.com

სამადლობელი :

მადლობას ვუხდით ხელმძღვანელობისთვის თსუ პროფესორს ქ. მანანა რუსეიშვილს. მისმა ცოდნამ ლიტერატურული თარგმანისა და სტილისტური ნიუანსების შესახებ იმოქმედა ჩვენს მიდგომაზე. მისმა შეფასებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი მუშაობის ხარისხი. მადლობა ცოდნისა და გამოცდილების გულუხვად გაზიარებისთვის. მისმა ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენს აკადემიურ ზრდაში და ჩვენ ღრმად ვაფასებთ იმ დროსა და ძალისხმევას, რაც მან ჩადო ჩვენს სტატიაში.

Acknowledgements:

We thank TSU professor Mrs. Manana Ruseishvili for her guidance. Her knowledge of literary translation and stylistic nuances influenced our approach. Her evaluation significantly increased the quality of our work. Thanks for generously sharing knowledge and experience. Her guidance has been instrumental in our academic growth and we deeply appreciate the time and effort she put into our article.